

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

27 თებერვალი, 2019 წელი

დადგენილება № 04-01/56

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეთა
უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს რექტორის მოადგილეთა (სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით დარგში) უფლებამოსილებანი, თანახმად დანართისა .
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

მ. ჭიჭილეიშვილი

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეთა
უფლებამოსილებანი**

1. სასწავლო და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის უფლებამოსილებანი:

ა) სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებული საქმიანობის (აბიტურიენტთა რეგისტრაცია/ჩარიცხვა, სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და საათობრივი დატვირთვა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ აკადემიური და სასწავლო დატვირთვის შესრულება, სასწავლო ცხრილების/საკონსულტაციო განრიგის შედგენა, გამოცდების დაგეგმვა/ჩატარება და სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა) კოორდინაცია;

ბ) უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების/კურსების განხილვა-დამტკიცების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პერსონალის მოწვევისა და დატვირთვის განსაზღვრის, მსმენელთა ჩარიცხვის/სტატუსის შეწყვეტის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის კოორდინაცია;

გ) უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის კოორდინაცია;

დ) უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობისა და საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია;

ე) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა;

ვ) წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; (სტაჟირება, დარგის წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ტრენინგების, ლექცია/სემინარების ჩატარების მიზნით და ა.შ)

ზ) უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, სტუდენტური ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების კოორდინაცია;

თ) პროექტების მომზადებისა და შესრულების კოორდინაცია;

ი) საზოგადოებასთან და უცხოეთთან ურთიერთობების კოორდინაცია;

კ) რექტორის დროებით არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, ავადმყოფობა ან სხვა კანონით გათვალისწინებული შემთხვევა) რექტორის მოვალეობის შესრულება,

გარდა უნივერსიტეტის დიპლომზე ხელმოწერისა და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეობის უფლებამოსილებისა;

ლ) რექტორის მითითებით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მ) რექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

2. შემოქმედებით დარგში რექტორის მოადგილის უფლებამოსილებანი:

ა) უნივერსიტეტში შემოქმედებითი პროექტების, სემინარების, ტრენინგების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების კოორდინაცია;

ბ) უნივერსიტეტის შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაცია;

გ) შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებების შემუშავება;

დ) სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების კოორდინაცია;

ე) რექტორის მითითებით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

ვ) რექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.